საერთაშორისო გამჭვირვალობა
საქართველო



თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

თავი 1. ძირითადი მიგნებები 4

თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ბათუმის საკრებულოს შესახებ 5

2.1. 2021 წლის არჩევნების შედეგებით გადანაწილებული მანდატები 5

თავი 3. ზოგადი სტატისტიკა 7

3.1. საკრებულოს სხდომათა რაოდენობა 7

3.2. საკრებულოში დარეგისტრირებული პეტიციები 7

თავი 4. მნიშვნელოვანი მოვლენები 8

4.1. კრიზისის 6 თვე - უფუნქციო საკრებულო 8

4.2. შეცვლილი კანონმდებლობა მმართველი პარტიის სასარგებლოდ 8

4.3. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები 9

4.4. მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა 9

თავი 5. კონტროლის ფუნქციის განხორციელება 10

5.1. მერიის თანამდებობის პირთა ანგარიშის მოსმენა 10

5.2. შეკითხვის უფლებამოსილების გამოყენება 10

5.3. ბიუჯეტის კონტროლი 10

5.4. დამოუკიდებელი აუდიტი 10

5.5. საკრებულოს მიერ განხილული საკითხები 10

5.6. საკრებულოს მიერ ინიცირებული საკითხები 11

5.7. ინტერესთა კონფლიქტი 11

5.8. ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები 11

5.9. არასაპატიო და საპატიო გაცდენები 11

თავი 6. კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობა 12

6.1. საკრებულოს კომისიები 12

6.2. საკრებულოს ფრაქციები 13

თავი 7. მოქალაქეთა ჩართულობა და ანგარიშვალდებულება 14

თავი 8. გენდერული თანასწორობის საბჭო 15

თავი 9. კავშირები ბიზნესთან, არადეკლარირებული ქონება, შეუთავსებელი საქმიანობა 16

თავი 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები 17

10.1. საკრებულოში გაცემული ხელფასი 17

10.2. სამივლინებო ხარჯები 17

10.3. ავტომობილები, საწვავის და სატელეფონო ხარჯები 17

პრობლემები და რეკომენდაციები 18

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ” შეისწავლა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე (შემდეგში: საანგარიშო/საკვლევი პერიოდი) ქალაქ ბათუმის 2021 წლის მოწვევის საკრებულოს მიერ გაწეული საქმიანობა.

ანგარიში ასევე მოიცავს ძირითად მიგნებებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება საკრებულოს მომავალ საქმიანობაში. ანგარიშის საფუძვლად გამოყენებულია საკრებულოდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” დაკვირვებები და მედიის მასალები.

ორგანიზაციამ საკრებულოს 2020 წლის საქმიანობის შეფასების ანგარიში 2021 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა.

- ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ რგოლს სუსტ კონტროლს უწევს, რაც ძირითადად იმით აიხსნება, რომ „ქართული ოცნების" უმრავლესობაში კონტროლის პოლიტიკური ნება არ არსებობს;

- ბათუმის საკრებულო 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 6 თვის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა. **5** სხდომა, რომელზეც საკრებულოს თავმჯდომარე უნდა აერჩიათ, კვორუმის არარსებობის გამო ჩაიშალა;

- ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა საკრებულოს **9** და ბიუროს **15** სხდომა. დადებითად შეიძლება შეფასდეს ის, რომ ბათუმის საკრებულოს საანგარიშო პერიოდში რიგგარეშე სხდომა არ მოუწვევია, კომისიების სხდომები კი კვორუმის არარსებობის გამო არ ჩაშლილა;

- საკრებულომ მიიღო **36** დადგენილება, რომელთაგან **23** დადგენილების ინიციატორი და ავტორი იყო ბათუმის მერი, **13** დადგენილებისა - საკრებულოს თავმჯდომარე.

- წინა მოწვევის საკრებულოს მსგავსად, 2021 წელს არჩეულ საკრებულოშიც ძირითადად მმართველი პარტიის მიერ ჩამოყალიბებული ფრაქციის ინიციატივებს უჭერენ მხარს, ოპოზიციური ფრაქციების წინადადებები კი ხშირ შემთხვევაში სხდომაზეც არ გააქვთ. ამასთან, საკრებულოს არ მოუწვევია დამოუკიდებელი აუდიტორი მერიის საქმიანობის გასაკონტროლებლად.

- საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე ხელფასის სახით გაიცა **1,373,835 ლარი,** მათ შორის დეპუტატებზე **540,636** ლარი და აპარატის თანამშრომლებზე **833,199** ლარი.

- საკრებულოს აპარატის თანამშრომლებზე გაცემული შრომის ანაზღაურებიდან **71,026** ლარი არის პრემია/დანამატები.

- 2022 წელს საკრებულოს დეპუტატების და აპარატის თანამშრომლების სატელეფონო კომუნიკაციების მომსახურებისათვის დაიხარჯა **23,498 ლარი**, საკრებულოს სატრანსპორტო პარკის მოვლა-შენახვისათვის **25,649 ლარი** და საწვავით უზრუნველყოფისათვის **45,380 ლარი**

- მნიშვნელოვნად გაუარესდა ბათუმის საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის ხარისხი - ხშირ შემთხვევაში, მოწოდებული დოკუმენტები არ შეიცავს ჩვენი კითხვარით გათვალისწინებულ საკითხებს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი წესით ახორციელებს თვითმმართველობას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს აღმასრულებელი ორგანოს - მერიის და მერიის თანამდებობის პირების საქმიანობას, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით მისთვის განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2.1. 2021 წლის არჩევნების შედეგებით გადანაწილებული მანდატები

ქალაქ ბათუმის საკრებულოს **35** წევრი ჰყავს, რომელთაგან **7** წევრი არჩეულია ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებიდან, ხოლო **28** წევრი არჩეულია პროპორციული წესით.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად მანდატების რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. **„ქართული ოცნება”** - 16 მანდატი, მათ შორის 4 მაჟორიტარი;
2. **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”** - 15 მანდატი, მათ შორის 3 მაჟორიტარი;
3. **„გახარია - საქართველოსთვის”** - 3 მანდატი;
4. **„ლელო - საქართველოსთვის”** - 1 მანდატი.

მანდატების ცვლილება არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების შემდეგ

არჩევნების შედეგების გამოქვეყნებისთანავე, პარტია „გახარია-საქართველოსთვის” პარტიული სიით არჩეულმა დეპუტატმა ირაკლი თავდგირიძემ პარტია დატოვა და ფორმალურად დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით გააგრძელა მუშაობა, რეალურად კი მხარს უჭერს უმრავლესობის მიერ წარდგენილ ინიციატივებს. მოგვიანებით, პირველივე შესაძლებლობისთანავე, ის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიეს.

პარტია „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობის” წევრის და ადლიის მაჟორიტარულ ოლქში გამარჯვებული კანდიდატის, ნუგზარ ფუტკარაძის, გარდაცვალების შემდეგ გამართულ შუალედურ არჩევნებში გაიმარჯვა პარტია „ქართული ოცნების” კანდიდატმა, რამაზ ჯინჭარაძემ, რომელიც საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარეა. ფუტკარაძის გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” 2022 წლის დასაწყისში გამოეხმაურა, მასზე განხორციელებულ ზეწოლასთან დაკავშირებულ ბრალდებებზე გამოძიების დაწყების მიუხედავად, საზოგადოებას დღემდე არ აქვს ოფიციალური პასუხები.

2022 წლის მაისში, საკრებულოს მანდატი დატოვა „ლელო საქართველოსთვის” პროპორციული სიით არჩეულმა წევრმა, ირაკლი კუპრაძემ. მან საქმიანობა პარტიის საორგანიზაციო მდივნის პოზიციაზე გააგრძელა, საკრებულოში კი პარტიული სიიდან ვაჟა დარჩია შევიდა.

2022 წლის 31 ოქტომბერს, საკრებულოს ფრაქცია “ქართულის ოცნების” თავმჯდომარის მოადგილემ, ნინო ცხვარაძემ პარტია „ქართული ოცნება” და ფრაქცია დატოვა და „ხალხის ძალას” შეუერთდა. ცხვარაძე ისევე, როგორც დამოუკიდებელი დეპუტატი, ირაკლი თავდგირიძე, მხარს უჭერს უმრავლესობის მიერ წარდგენილ ინიციატივებს.

ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე, ამჟამინდელი მდგომარეობით საკრებულოს შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურება:

1. **„ქართული ოცნება”** - 16 მანდატი, მათ შორის 5 მაჟორიტარი;

2. **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”** - 14 მანდატი, მათ შორის 2 მაჟორიტარი;

3. **„გახარია - საქართველოსთვის”** - 2 მანდატი;

4. **„ლელო - საქართველოსთვის”** - 1 მანდატი;

5. **„ხალხის ძალა”** - 1 მანდატი;

6. **დამოუკიდებელი დეპუტატი** - 1 მანდატი.

ქალაქ ბათუმის საკრებულოში საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შექმნილია **5** კომისია: განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია; ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია; საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია; ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია; იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

ბათუმის საკრებულოში **2** ფრაქცია მუშაობს: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო” და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”.

საკრებულოს მუშაობის ორგანიზების მიზნით შეიქმნა საკრებულოს ბიურო, რომლის შემადგენლობაში შედიან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.

თავი 3. ზოგადი სტატისტიკა

3.1. საკრებულოს სხდომათა რაოდენობა

საანგარიშო პერიოდში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა საკრებულოს **9** და ბიუროს **15** სხდომა. რიგგარეშე სხდომა არ ჩატარებულა. საკრებულოს **5** სხდომა ჩაიშალა კვორუმის არარსებობის გამო.

საკვლევ პერიოდში საკრებულომ მიიღო **36** დადგენილება, მათ შორის **23** დადგენილების ინიციატორი და ავტორი იყო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი, ხოლო **13** დადგენილების ინიციატორი და ავტორი იყო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საანგარიშო პერიოდში სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანომ 3 სამართლებრივ აქტზე მიიღო დასკვნა და სამივე დასკვნა იყო უარყოფითი. ერთ შემთხვევაში გაითვალისწინეს უარყოფითი სამართლებრივი დასკვნა. დანარჩენ 2 უარყოფით დასკვნაზე მიმდინარეობს წარმოება, შესაბამისად, საკრებულოს არ წარუდგენია მოტივირებული უარი სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოში.

3.2. საკრებულოში დარეგისტრირებული პეტიციები

საკვლევ პერიოდში ბათუმის საკრებულოში დარეგისტრირდა **1** ელექტრონული პეტიცია - „მწვანე უბნები ბათუმს", რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა ბათუმის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიას. საკითხზე მიმდინარეობს წარმოება.

საანგარიშო პერიოდში ბათუმის მერმა საკრებულოს 2-ჯერ წარუდგინა სამართლებრივი აქტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ ხელშეკრულებაზე თანხმობის მისაღებად და ორივე შემთხვევაში მიიღო თანხმობა, კერძოდ:

1. „მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელის" ფარგლებში გრანტის მიღებასა და ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 ოქტომბრის განკარგულება;

2. „გაეროს ბავშვთა ფონდისგან გრანტის მიღებაზე საქართველოს მთავრობისთვის შუამდგომლობის წარდგენასა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 ოქტომბრის განკარგულება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესები, მათ შორის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს განკარგვის წესი, საკრებულომ დაამტკიცა 2018 წლის 11 აპრილს და მოქმედებს დღემდე. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ არ გადაუცია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონება.

4.1. კრიზისის 6 თვე - უფუნქციო საკრებულო

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგებით, ოპოზიციურმა პარტიებმა მანდატების უმრავლესობა მოიპოვეს, თუმცა **29 ოქტომბერს**, ირაკლი თავდგირიძემ პარტია „გახარია - საქართველოსთვის" დატოვა. ახალარჩეული საკრებულოს შეკრებამდე, **18 ნოემბერს,** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" ადლიის მაჟორიტარად არჩეული ნუგზარ ფუტკარაძე გარდაიცვალა. მოგვიანებით, პარტიამ გაავრცელა აუდიოჩანაწერი, სადაც ისმის, თუ როგორ თხოვენ ფუტკარაძეს „ნეიტრალური" პოზიციის დაკავებას 100,000 აშშ დოლარის სანაცვლოდ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნუგზარ ფუტკარაძის საქმე დღემდე გამოუძიებელია.

2021 წლის 3 დეკემბერს ჩანიშნული სხდომა, სადაც საკრებულოს თავმჯდომარე უნდა აერჩიათ, კვორუმის არარსებობის გამო ჩაიშალა. მოგვიანებით, 2021 წლის დეკემბერსა და 2022 წლის იანვარში სხდომის დანიშვნას ოპოზიციური პარტიების ნაწილი ითხოვდა, თუმცა ამჯერად კვორუმი „ქართული ოცნების" დეპუტატების დაუსწრებლობის გამო ვერ შედგა.

მიუხედავად იმისა, რომ საკრებულო არჩევიდან ორ თვეშიც კი ვერ შეიკრიბა, „ქართული ოცნების" ფრაქციის თავმჯდომარე და მისი 5 მოადგილე, შრომის ანაზღაურებას იღებდა.

ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალების შემდეგ, ბათუმის მე-4 საარჩევნო ოლქში შუალედური არჩევნები ჩაინიშნა. მმართველმა პარტიამ კანდიდატად რამაზ ჭინჭარაძე დაასახელა, ოლქში კი, სადაც არჩევნები იმართებოდა, ე.წ. ოცნების ქალაქში, 300-ზე მეტი ახალი ამომრჩეველი დაარეგისტრირეს. ეს ის ტერიტორიაა, სადაც აჭარის მთავრობა მეწყრით დაზარალებული და ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე თვითნებურად შესახლებული მოქალაქეებისათვის საცხოვრებელ კორპუსებს აშენებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" შეფასებით, ხელისუფლებამ ადმინისტრაციული რესურსი შუალედურ არჩევნებზე არაერთხელ გამოიყენა, რამაც საბოლოოდ იქონია კიდეც გავლენა არჩევნების შედეგებზე - „ქართული ოცნების" კანდიდატმა აღნიშნულ ოლქში გაიმარჯვა და მოიპოვა საკრებულოს წევრის მანდატი.

მმართველ პარტიას არ ჰყავდა უმრავლესობა და ამიტომ 2022 წლის მაისში საარჩევნო კოდექსის ცვლილებების პროექტი შეიტანა, რომლის მიხედვითაც, შუალედურ არჩევნებზე გამარჯვებული დეპუტატის უფლებამოსილების ცნობა ავტომატურად მოხდებოდა. ინიციატივას პარლამენტში „ნაციონალურმა მოძრაობამაც" დაუჭირა მხარი. არჩევნებში გამარჯვებული რამაზ ჯინჭარაძე შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებისთანავე, გახდა საკრებულოს წევრი, მოგვიანებით, **2022 წლის 30 მაისს** კი ის „ქართული ოცნების" 17 დეპუტატმა და დამოუკიდებელ წევრად მომუშავე ირაკლი თავდგირიძემ საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩია.

4.2. შეცვლილი კანონმდებლობა მმართველი პარტიის სასარგებლოდ

2022 წლის მუნიციპალური ბიუჯეტი არა ახალარჩეულმა საკრებულომ განიხილა და დაამტკიცა, არამედ წინა მოწვევის საკრებულომ. „ქართული ოცნების" დეპუტატების აზრით, არსებობდა რისკი, არჩევნების შედეგად საკრებულოში უმრავლესობით მოსულ ოპოზიციას მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტი არ მიეღო და, შესაბამისად, დამდგარიყო საკრებულოსა და მერის დათხოვნის ალბათობა.

ამ ფონზე „ქართულმა ოცნებამ" პარლამენტში სხვა საკანონმდებლო ცვლილებაც დაარეგისტრირა, რომლის მიხედვითაც, თუ საკრებულო 3 თვის განმავლობაში ვერ დაამტკიცებს მუნიციპალურ ბიუჯეტს, პასუხისმგებლობა მხოლოდ საკრებულოს დაეკისრება და არა მერს, როგორც ამას მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა. ამ დაჩქარებული ცვლილებებით, მმართველმა პარტიამ გამორიცხა ნებისმიერი შესაძლებლობა, დაეთხოვათ მერი და საკრებულო და რიგგარეშე არჩევნები ჩატარებულიყო იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მათ მყარი უმრავლესობა არ ჰქონდათ ან/და უმრავლესობა ოპოზიციის კოალიციას ჰქონდა, ასეთი მუნიციპალიტეტი კი ქვეყანაში სამი იყო: რუსთავი, ჩხოროწყუ და ზუგდიდი.

4.3. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებიდან აღსანიშნავია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებული შემდეგი პროგრამები/ქვეპროგრამები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა, ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი, საცხოვრისის მშენებლობა, ინკლუზიური განათლებისა და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების დაფინანსება/ხელშეწყობა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა.

4.4. მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა

საკრებულომ 2022 წლის 17 ივნისს დაამტკიცა „ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამა", 2022 წლის 22 აგვისტოს - „ბათუმის ბულვარის დაცვისა და განვითარების (განაშენიანების) გეგმა" და 2022 წლის 29 სექტემბერს - „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმა".

მუნიციპალური ორგანიზაციების დაფუძნებაზე, რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციაზე საკრებულოსათვის მერიას წინადადება არ წარუდგენია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის ან ეთიკის კოდექსის დარღვევებზე არ უმსჯელია.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობა გააკონტროლოს, მათი ანგარიშები მოისმინოს და შეაფასოს. ამავე კოდექსის 48-ე მუხლის მიხედვით, მერი ვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, კონტროლის განხორციელების მექანიზმებია: მერისთვის უნდობლობის გამოცხადება; საკრებულოს წევრის მიერ კითხვის დასმა და ინტერპელაცია; სხდომაზე მიწვევა; ანგარიშების მოსმენა; დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარება; მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე კონტროლი; ბიუჯეტის შესრულების კონტროლი.

5.1. მერიის თანამდებობის პირთა ანგარიშის მოსმენა

არასრულყოფილი და ფრაგმენტულია ბათუმის საკრებულოს პასუხი საკრებულოს მიერ კონტროლის მექანიზმების გამოყენებაზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით. მოწოდებულ საჯარო ინფორმაციაში არ ჩანს, თუ რამდენჯერ მიიწვიეს საკრებულოში მერიის თანამდებობის პირები საქმიანობის ანგარიშის წარსადგენად. აღნიშნულია, რომ ამას "სისტემური ხასიათი" ჰქონდა.

5.2. შეკითხვის უფლებამოსილების გამოყენება

მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, ბათუმის მერს და სხვა თანამდებობის პირს საკრებულოს ოთხმა წევრმა მიმართა კითხვით/ინფორმაციის გამოთხოვით, თუმცა საკითხების შესახებ არაფერია ნათქვამი. ოთხივე შემთხვევაში პასუხი დროულად გაეცა და გამოთხოვილი ინფორმაციაც დროულად მიეწოდათ. შეკითხვის ავტორები იყვნენ ნატალია ძიძიგური, აკაკი გვიანიძე, ნოდარ დუმბაძე და ნატო ნაცარაშვილი.

5.3. ბიუჯეტის კონტროლი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მუნიპალური ბიუჯეტის დამტკიცება და მისი შესრულების კონტროლი საკრებულოს ერთ-ერთი მთავარი უფლებამოსილებაა. ამ ფუნქციის შესასრულებლად საკრებულოს შეუძლია შეკითხვით მიმართოს მხარჯავ დაწესებულებებს, შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი, მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი, მოთხოვოს ანგარიში მერიის თანამდებობის პირებს და ა.შ. საკვლევ პერიოდში ერთადერთი მსგავსი ინიციატივა, 2022 წლის 31 ოქტომბერს, ჰქონდა საკრებულოს წევრს, ნატალია ძიძიგურს, რომელიც ითხოვდა მრავალპარტიული ანტიკორუფციული კომისიის შექმნას. ეს ინიციატივა შესასწავლად, 2022 წლის 14 ნოემბერს, გადაეგზავნა მერიას და მისი შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია.

5.4. დამოუკიდებელი აუდიტი

საანგარიშო პერიოდში საკრებულოში აუდიტის ჩასატარებლად საკრებულოს არ მოუწვევია დამოუკიდებელი აუდიტორი.

5.5. საკრებულოს მიერ განხილული საკითხები

საანგარიშო პერიოდში ბათუმის საკრებულოს არ უმსჯელია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

ბათუმის საკრებულომ მოგვაწოდა ინფორმაცია 2023 წლის ბიუჯეტის განხილვის პერიოდში საკრებულოს კომისიების, ფრაქციების, გენდერული თანასწორობის საბჭოს, დამოუკიდებელი დეპუტატების და ფრაქციაში გაწევრიანებული დეპუტატის ინდივიდუალურად წარდგენილი

შენიშვნების შესახებ. საკრებულოს არ მოუწოდებია ინფორმაცია გათვალისწინებული შენიშვნების შესახებ.

2022 წლის ბიუჯეტი წინა მოწვევის საკრებულომ დაამტკიცა. ამდენად იგი ჩვენი ამჟამინდელი საკვლევი პერიოდის მიღმაა. საანგარიშო პერიოდში 2022 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ 2021 წლის მოწვევის საკრებულომ იმსჯელა 2-ჯერ, მიიღო 2 დადგენილება. ორივე შემთხვევაში ინიციატორი იყო ბათუმის მერი.

საანგარიშო პერიოდში საკრებულომ მხარი დაუჭირა ბათუმის მერის მიერ წარდგენილ ყველა საკითხს. საკრებულოს თავმჯდომარეს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში არ წარუდგენია.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოში დროებითი სამუშაო ჯგუფი არ შექმნილა.

5.6. საკრებულოს მიერ ინიცირებული საკითხები

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ინიციატივით განიხილეს **17** საკითხი, მათ შორის 13 საკითხი - უმრავლესობის წევრების ინიციატივით და 4 - ოპოზიციის. უმრავლესობის წარდგენილი 13 ინიციატივიდან 12 დაამტკიცეს, ხოლო 1 გადაუგზავნეს მერიას. ოპოზიციის 4 ინიციტივიდან 1 დაამტკიცეს, 1 არ შეიტანეს დღის წესრიგში და 2 გადაეგზავნეს მერიას. დამტკიცებული საკითხებიდან უმრავლესობა ეხება მემორიალური დაფების განთავსებას და ხელფასების ზრდას.

იხილეთ ინიციირებული საკითხები ვრცლად.

5.7. ინტერესთა კონფლიქტი

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს არ გამოუვლენია რაიმე სახის გადაცდომა, ინტერესთა კონფლიქტი, თანამდებობრივი შეუთავსებლობა ბათუმის მერის საქმიანობაში, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების პროცესში.

5.8. ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები

საანგარიშო პერიოდში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ერთხელ იმსჯელა მოსაკრებლების შესახებ (დადგენილება: 16.12.2022, №33) და ერთხელ გადასახადების შესახებ (დადგენილება: 16.12.2022, №32).

5.9. არასაპატიო და საპატიო გაცდენები

მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, 2022 წლის აგვისტოდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე სულ **11** დეპუტატმა გააცდინა საკრებულოს სხდომები და კომისიის სხდომები საპატიო და არასაპატიო მიზეზებით. ყველაზე მეტი - 11 გაცდენა აქვს ლაშა კილაბერიას, ყველა არასაპატიო მიზეზით. 9-9 გაცდენა აქვთ კახაბერ ქაშიბაძეს და ირაკლი ზოიძეს (მათგან 7 არასაპატიო მიზეზით), 3-3 გაცდენა კი - ილია ჯინჭარაძეს და ქეთევან ლასტაკანიძეს. ჩვენი ინფორმციით, ირაკლი ზოიძე უკრაინაში მოხალისედ იბრძვის რუსეთის საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ.

თავი 6. კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობა

6.1. საკრებულოს კომისიები

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საკრებულოს კომისიების **42** სხდომა. კვორუმის არარსებობის გამო მუდმივმოქმედი კომისიების სხდომები არ ჩაშლილა.

ჩატარებული სხდომები კომისიების მიხედვით:

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ მოამზადა **10** დასკვნა.

იურიდიულმა კომისიამ საკრებულოს ცალკეული სამართლებრივი აქტებისა და პროცედურული საკითხების რეგლამენტთან შესაბამისობის კონტროლისას გამოავლინა შეუსაბამობის შემთხვევები, რომლებიც მყისიერად აღმოფხვრეს და კანონმდებლობასთან მიმართებით მომზადდა დასკვნები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოს კომისიებმა ინიციირების წესით საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარადგინეს **7** სამართლებრივი აქტი, ასევე 2022 -2023 წლების პირველად ბიუჯეტზე შენიშვნები/რეკომენდაციები. აქედან:

- საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია - 2 საკითხი, ასევე 2023 წლის პირველად ბიუჯეტზე შენიშვნები/რეკომენდაციები;
- განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისია - 3 საკითხი, ასევე 2023 წლის პირველად ბიუჯეტზე შენიშვნები/რეკომენდაციები;
- ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია - 2023 წლის პირველად ბიუჯეტზე შენიშვნები/ რეკომენდაციები;
- ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია - 2023 წლის პირველად ბიუჯეტზე შენიშვნები/ რეკომენდაციები;
- იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია - 1 საკითხი, ასევე 2023 წლის პირველადი ბიუჯეტის სამართლებრივი შეფასება.

საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობაზე კონტროლის ფარგლებში კომისიების მიერ განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები უცნობია. გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის პასუხად გვაცნობეს, რომ კონტროლის მიზნით საკრებულოს რეგლამენტის თანახმად ისმენს და განიხილავს ანგარიშებს.

საკრებულოს კომისიებში სამუშაოდ, დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით სხვა პირები არ მიუწვევიათ, ასევე არ გაუკეთებიათ წარდგინება ექსპერტის ან სპეციალისტის მოწვევის შესახებ.

6.2. საკრებულოს ფრაქციები

2021 წლის მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნების შემდეგ საკრებულოში შეიქმნა **2** ფრაქცია: "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა".

საანგარიშო პერიოდში ფრაქციებმა საკრებულოს ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტების, წერილობითი ინიციატივების, შუამდგომლობების სახით შემდეგი საკითხები წარუდგინეს:

1. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" - მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი" ფარგლებში პროგრამაში მონაწილე პირველ და მეორე ეტაპზე უკვე ჩატარებული კვლევების შედეგად მინიჭებული 40 000 ქულიანი ოჯახებისათვის საცხოვრებლის გადაცემის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" - ბათუმის ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე „დინამოელთა" სპორტული დიდების სკვერის გაშენების და სტენდზე ვეტერან ფეხბურთელთა შესახებ ინფორმაციის განთავსების თაობაზე.

2022 წლის განმავლობაში საკრებულოს ფრაქციების თანამდებობის პირების ჯამურმა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა **202,218 ლარი.**

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარეს ემსახურებოდა "ტოიოტა კოროლა" (სახელმწიფო ნომერი XX-877-XG), ხოლო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარეს - „მერსედეს ბენცი" (სახელმწიფო ნომერი BS-123-SS). ხსენებული ავტომობილების გამოშვების წელის, მათ მიერ გახარჯული საწვავის და მათზე გაწეული რემონტის ხარჯების შესახებ ინფორმაცია საკრებულომ არ მოგვაწოდა.

საკრებულომ ასევე არ მოგვაწოდა ინფორმაცია ფრაქციების თანამდებობის პირთა სატელეფონო კომუნიკაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, საკრებულო ვერ აკონკრეტებს, რა პროგრამებია გათვალისწინებული ბიუჯეტში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშესაწყობად შეიქმნა სამოქალაქო მრჩეველთა კომიტეტი და მოქმედებს საზოგადოებრივი დარბაზის და მრჩეველთა საბჭოს ფორმირების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში ბათუმის საკრებულომ ჩაატარა **9** სხდომა და ყველა კანონის მოთხოვნათა დაცვით დააანონსა.

თავი 8. გენდერული თანასწორობის საბჭო

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა. თუმცა, ამის მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში გენდერული თანასწორობის საბჭოს არ განუხორციელებია სამართლებრივი აქტების ანალიზი/ექსპერტიზა, არ განუხილივს განცხადებები, დოკუმენტაცია და ინფორმაცია გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე. საბჭომ საქმიანობა გვიან დაიწყო და ანგარიშიც საკრებულოს არ წარუდგინა. როგორც საკრებულოდან გვაცნობეს, მას მოგვიანებით წარადგენენ და საჯაროდაც გამოაქვეყნებენ.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსათვის წარსადგენად წინადადებები და რეკომენდაციები არ მოუმზადებია.

თავი 9. კავშირები ბიზნესთან, არადეკლარირებული ქონება, შეუთავსებელი საქმიანობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" 2022 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ ბათუმის საკრებულოს 3 თანამდებობის პირმა - ნერიმან ცინცაძემ, ლევან დოლიძემ და დავით მახარაძემ ქონებრივი დეკლარაციები არასათანადოდ შეავსეს. რეაგირების მიზნით, მონაცემები საჯარო სამსახურის ბიუროშია გადაგზავნილი, ბიურომ მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა გაასაჯაროვოს მოკვლევის შედეგები.

თავი 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები

10.1. საკრებულოში გაცემული ხელფასი

მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საკრებულოს დეპუტატებზე და აპარატის თანამშრომლებზე ხელფასის სახით გაიცა **1,373,835 ლარი,** მათ შორის დეპუტატებზე 540,636 ლარი და აპარატის თანამშრომლებზე 833,199 ლარი. საკრებულოს აპარატის თანამშრომლებზე გაცემული შრომის ანაზღაურებიდან 71,026 ლარი არის პრემია/დანამატები

2022 წელი					
#	**დასახელება**	**თანამდებობრივი სარგო (ლარი)**	**პრემია/ ჯილდო (ლარი)**	**დანამატი (ლარი)**	**მთლიანი შრომის ანაზღაურება (ლარი)**
1	საკრებულოს წევრები	540,636	0	0	540,636
2	საკრებულოს აპარატის შტატიანი თანამშრომლები	463,033	44,660	2,706	510,399
3	საკრებულოს აპარატის შტატგარეშე თანამშრომლები	299,140	23,660	0	322,800
	სულ	**1,302,809**	**68,320**	**2,706**	**1,373,835**

10.2. სამივლინებო ხარჯები

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები 31-ჯერ იმყოფებოდნენ სამსახურეობრივი მივლინებით, მათ შორის 4-ჯერ უცხოეთში. საკრებულოს წევრებიდან ყველაზე ხშირად, 8-ჯერ მივლინებაში იმყოფებოდა საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე. ქვეყნის გარეთ მივლინებით იმყოფებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე, რამაზ ჯინჭარაძე (თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ტრაბზონში) და საკრებულოს წევრი, გიორგი ლომთათიძე (ბულგარეთის რესპუბლიკის ქალაქ ბურგასში). მივლინებებისათვის ჯამში დაიხარჯა **9,052 ლარი.**

#	დასახელება	ხარჯი (ლარი)
1	მივლინება ქვეყნის შიგნით	4,108
2	მივლინება ქვეყნის გარეთ	4,944
	სულ	9,052

10.3. ავტომობილები, საწვავის და სატელეფონო ხარჯები

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე საკრებულოს დეპუტატების და აპარატის თანამშრომლების სატელეფონო კომუნიკაციების მომსახურებისათვის დაიხარჯა **23,498 ლარი**, საკრებულოს სატრანსპორტო პარკის მოვლა-შენახვისათვის **25,649 ლარი** და საწვავით უზრუნველყოფისათვის **45,380 ლარი**

ხარჯები		
#	**დასახელება**	**2022 წელი (ლარი)**
1	სატელეკომუნიკაციო	23,498
2	ტრანსპორტის მოვლა-შენახვა	25,649
3	საწვავი	45,380
	სულ	**94,527**

კონტროლის განხორციელება

- საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა აწარმოებდნენ საზედამხედველო საქმიანობას, კერძოდ უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ შეკითხვის დასმის უფლებას, იბარებდნენ საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირებს და მსჯელობდნენ მერისთვის უნდობლობის გამოცხადებაზე;

- საკრებულომ უნდა გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება და მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი;

- მნიშვნელოვანია, რომ სავალდებულო გახდეს მერიის თანამდებობის პირთათვის საკრებულოს წინაშე ანგარიშის ჩაბარება.

საკრებულოს სხდომები

- მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს რეგლამენტით განისაზღვროს სხდომის გაცდენების საპატიო და არასაპატიო მიზეზები. ასევე, აუცილებებლია საპატიო გაცდენის დოკუმენტაციის წარმოება;

- მიუხედავად არსებული პროგრესისა, მაინც არსებობს იმის აუცილებლობა, რომ საკრებულოს წევრებმა სწორად შეავსონ ქონებრივი დეკლარაციები, ასახონ საკუთარი და ოჯახის წევრების კუთვნილი ქონება და წილები კომპანიებში, მიუთითონ საწარმოებიდან მიღებული შემოსავალი და კანონით დადგენილი წესით დატოვონ კომპანიების მმართველი პოზიციები.

საზოგადოების ჩართულობა

- საკრებულოს ოფიციალური ვებ-გვერდი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას წარმომადგენლობითი ორგანოს წევრების საქმიანობის შესახებ, რათა საკრებულოს წევრების ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილი იქნას და ამომრჩევლებს ინფორმაცია პროაქტიურად მიეწოდოთ.

გენდერული თანასწორობის საბჭო

- აუცილებელია, საბჭომ გაზარდოს ინიცირებული პროექტების, რეკომენდაციებისა და წინადადებების რაოდენობა საქართველოს პარლამენტში გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის წარსადგენად.